

# ახალი თაობა



თბილისის  
საკრებულომ  
12.000  
ლარიანი  
ფოტოაპარატი  
შეუკვეთა



ლევან ხაბეიშვილი: **გვ.2**  
„რას იღებენ ამისთანას“

19 აპრილდან

უორუ საზღი

ინდიანა

ოქროს  
ბიბლიოთეკა  
ფონი 26-ა



ფანი  
გაზეთთან  
ერთად  
12 ლარი

ხუთშაბათი, 20 აპრილი, 2017

№92 (7327)

ფასი: 50 თეთრი

## გიორგი კანდელაკმა ოთარ კახიძეს თავი გაუტუნა

ემზარ კვიციანმა გიგა ბოკერიას ქიქა ესროლა



**გვ.2**



### აფხაზეთის რკინიგზა იხსნება?

სერგეი ლავროვი:  
„სატრანსპორტო  
მიმოსვლის  
აღსადგენად  
სამართლებრივი  
ბაზა არსებობს“



**გვ.5**

„ოცნებას“ ეუინია, რომ  
მარგველაშვილი ისევ  
არ გახლას პრეზიდენტი“




**გვ.4** თორნიკე შარაშენიძე:  
„თურქეთი პრობლემებს ვერ შეგვიქმნის“



სუს-ის უფროსმა  
პარლამენტის  
პლენარულ  
სხდომაზე უწყების  
2016 წლის ანგარიში  
ნარკადგინა **გვ.3**

### „ელისაშვილს კალაქის დამარცხება გაუჭირდება“



ვის ექნება  
თბილისის მერობის  
სურვილი



ლევან ჩაჩუა: „ქვეყნის საღავეებს უნდა ჩამოვასცილოთ ისინი,  
ვისაც არს რუსეთთან შეუქლია დალაპარაკება და არს აუბ-სთან“  
„შემოდგომაზე „ქართულ ოცნებას“ დიდი საპროტესტო მოძრაობა ემუქრება“ **გვ.4**



# „ელისაშვილს კალაქის დამარსხება გაუჭირდება“

## ვის ექნება თბილისის მერობის სურვილი

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დედაქალაქის მერობის შესაძლო კანდიდატებსა და მათ შანსებზე საუბრობს.

**– ბატონო რამაზ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ პოლიტიკური გადაჯგუფება, ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენა რამდენად არის მოსალოდნელი?**

– ადგილობრივი არჩევნები ყოველთვის არის რეპეტიცია საპარლამენტო არჩევნების. შესაბამისად, თუ ვინმე რამეს აპირებს, სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს. თუმცა, ადგილობრივი არჩევნები არ არის ისეთი მწვავე, როგორც არის ხოლმე საპარლამენტო არჩევნები. მე მაინც დამაინც არ ველოდები დიდ გაერთიანებებს.

**– კონსტიტუციაში თუ ჩაინერგა საარჩევნო ბლოკების აკრძალვის შესახებ, გაერთიანების თემა აქტუალობას დაკარგავს.**

– არაფორმალურად მაინც იქნება ერთმანეთთან შეთანხმება და არ არის გამორიცხული, რომ არაფორმალური ბლოკები ვიხილოთ, რომ ხელი არ შეუშალოს გარკვეულ რაიონებში ერთმანეთს. „მე დაგაყენებ, შენ არ დააყენო“ – ასეთი მოლაპარაკებები წავა. ერთმანეთთან „დაჯახებას“ მოერიდებიან, მაგალითად, ნაციონალები და „ევროპული საქართველო“, რესპუბლიკელები და დავით უსუფაშვილი, რომელიც აპირებს ახალი პარტიის შექმნას.

**– დედაქალაქის მერობის კანდიდატები უკვე სახელდებიან: ალექო ელისაშვილი, ელენე ხოშტარია, კახა კალაძე. არ არის გამორიცხული, რომ თბილისის მერის პოსტზე კენჭი დავით უსუფაშვილმაც იყაროს. რა შანსები აქვთ ამ კანდიდატებს?**

– გასაგებია, რომ უკვე სახელდება გარკვეული გვარები, კანდიდატები. ამით ხდება, ერთი მხრივ, წინასწარი მოსინჯვა, მოთელვა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ და მეორე მხრივ, ვიღაცებს მართლაც აქვთ გადამწყვეტილი, რომ კენჭი იყარონ.

**– და რა შანსები აქვთ?**

– შანსები ბევრ რამეზე არის ხოლმე დამოკიდებული. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ადამიანები უცხო არ არის ამომრჩევლისთვის. მეტიც, ისინი უკვე იყვნენ კანდიდატები, მაგალითად, ელენე ხოშტარია საპარლამენტო არჩევნებში ვაკის მაჟორიტარულ ოლქში იყრიდა კენჭს, მაგრამ თავისავე უბანში წააგო. მიუხედავად იმისა, რომ ელენე ხოშტარია არის ახალგაზრდა, ჭკვიანი ქალი, როგორც ქართველები იტყვიან და ბევრს მოსწონდა კიდევ, მიუხედავად ამისა, წააგო, ამის მიზეზი იყო არა იმდენად მასში, არამედ მის პარტიაში, რომლის სახელითაც ის გამოდიოდა. ამომრჩეველმა ხმა არ მისცა არა ელენე



ხოშტარიას, არამედ ნაციონალურ მოძრაობას.

**– დავით უსუფაშვილმა წააგო საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები. წააგო იმიტომ, რომ რესპუბლიკელებს წარმოადგენდა?**

– დიახ, მოხუცდავად იმისა, რომ დავით უსუფაშვილი იყო საპარლამენტის თავმჯდომარე, ის ბევრს მოსწონდა, როგორც პოლიტიკოსი, მაგრამ მას ბევრმა ხმა არ მისცა, როგორც რესპუბლიკელს. უსუფაშვილს უფრო მეტი შანსი აქვს დღეს ამ მიმართულებით, თუმცა ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული მის შემდგომ პოლიტიკურ ნაბიჯებზე, რას იზამს, ვინ იქნება მის პოლიტიკურ გუნდში, ვისთან ექნება პოლიტიკური ახლობლობა და ა.შ.

ელენე ხოშტარიას შანსები კვლავ ნაკლებია, რადგან ნაციონალური მოძრაობის განაყოფის მიმართ ხალხის დამოკიდებულება დიდად არ არის შეცვლილი. თუ დისტანცირებას შეძლებენ ისინი და მოახერხებენ ამ ბარიერის დაძლევა, შანსი უფრო მეტი ექნებათ.

ამ მხრივ უფრო დიდი შანსი ალექო ელისაშვილს აქვს.

**– ელისაშვილმა უკვე განაცხადა, რომ თუ კენჭს იყრის, ის კვლავ დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება.**

– ელისაშვილმა შემთხვევით არ თქვა, რომ კვლავ დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება. მან იცის, რომ საზოგადოებაში პარტიების მიმართ ძალიან მაღალია კრიტიკული დამოკიდებულება. თუმცა, რამდენად დაძლევის სახელისუფლო კანდიდატთან ერთაბრძოლას, მით უფრო, თუ ეს კანდიდატი კალაძე იქნა, ეს დღეს რთული სათქმელია. ალბათ ძალიან გაუჭირდება, რადგან სახელისუფლო კანდიდატთან ერთაბრძოლა მარტივი არ არის. სახელისუფლო კანდიდატს მხარს ყოველთვის მმართველი პარტია უჭერს, რაც ორგანიზაციული თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**– მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძეს მხარს უჭერენ საკრებულოში, მერიაშიც, რამდენად ექნება მერობის სურვილი?**

– რატომ არ უნდა ჰქონდეს?! ძალიან აქტიურია, არასდროს ერიდება თავისი აზრის დაფიქსირებას, თავისუფალია საჯარო გამოსვლებში. მას ყოველთვის აქვს თავისი პოლიტიკური პოზიცია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**– თუმცა, კალაძესთან თავს იჩენს „გაზპრომთან“ დადებული ახალი ხელშეკრულება.**

– ერთადერთი, რაც მის მიმართ შეიძლება პრეტენზია იყოს, ეს არის „გაზპრომთან“ დადე-

ბული ხელშეკრულება, მაგრამ ეს არის პოლიტიკური ჯგუფის მიერ წარმოებული კრიტიკა მისი მისამართით. სწორედ ნაციონალური მოძრაობა აკრიტიკებს ძირითადად კალაძეს „გაზპრომთან“ დაკავშირებით. ამიტომ ეს კრიტიკა შეიძლება ამომრჩევლის ფართო მასებისთვის მთლად მისაღები არ იყოს.

**– ხელისუფლებისთვის კალაძე რამდენად იქნება მომგებიანი კანდიდატი?**

– კალაძე ხელისუფლებისთვის ყველაზე მომგებიანი კანდიდატი იქნება, რადგან ის არ ალიქმება, როგორც პასიური, კანინეტის პოლიტიკოსი. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სახელისუფლო პარტიამ სხვა კანდიდატებზეც იფიქროს.

**– თბილისში ხელისუფლებას ძლიერი კონკურენტები ეყოლება, თუ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება უალტერნატივოა?**

– ძალიან ძლიერი ბრძოლა იქნება ყველა დონეზე. ეს ადგილობრივი არჩევნები ნაციონალური მოძრაობისთვის გადარჩენისთვის ბრძოლა იქნება. თუ ნაციონალებმა მოახერხეს ბევრი მანდატის მოპოვება საკრებულოებში, მაშინ მათ შეეძლება ცენტრალური ხელისუფლებისთვის დისკომფორტის შექმნა რეგიონებში. სხვა პარტიებში ეს უნდა ნაკლებად ჩანს.

**– დედაქალაქში ვინ შეიძლება მათი კანდიდატი იყოს, შეიძლება კვლავ მელია იყოს?**

– რთულად სათქმელია, რადგან მელიამ ეს არჩევნები ერთხელ უკვე წააგო. ტექნოლოგიის ლოგიკით, ნაციონალურ მოძრაობას ახალი კანდიდატის მოძიება მოუწევს.



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

# სუს-ის უფროსმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უწყაბის 2016 წლის ანგარიში წარადგინა

გუშინ, 19 აპრილს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომეზაური საქართველოს პარლამენტში პლენარულ სხდომას დაესწრო.

სუს-ის უფროსმა დეპუტატებს უწყაბის საქმიანობის 2016 წლის ანგარიში წარუდგინა. სიტყვით გამოსვლის შემდეგ სხდომა დახურულ რეჟიმში კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა.

სხდომის დასასრულს, საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიში დადებითად შეაფასა. სხდომის დასრულების შემდეგ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა უფროსმა კითხვების კითხვებს უპასუხა.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად საქმიანობდა კონტრდაზვერვითი მიმართულებით.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის, მათ მიერ გამოყენებული ძალებისა და საშუალებების, დანტერესების ობიექტებისა და კავშირების შესწავლა, ასევე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა.

კონტრდაზვერვითი ამოცანების სრულყოფილ შესრულებისთვის ხორციელდებოდა ქვეყანაში შექმნილი ოპერატიული ვითარების მონიტორინგი.

გამოვლენილია უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომელთა ქმედებებში იკვეთება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან შესაძლო კავშირის ნიშნები. დადგენილია მათი კონტაქტები საქართველოს მოქალაქეებთან. მიმდინარეობს აღნიშნული კონტინგენტის ოპერატიული შესწავლა, რათა დროულად აღიკვეთოს შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები სა-

დაზვერვო ინფორმაციისა და, შესაბამისად, სასურველი შედეგის მიღებას არაძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ე.წ. რბილი ძალის კონცეფციის მიხედვით ცდილობენ.

აღნიშნულის განეიტრალების მიზნით, კომპლექსურად და გეგმავით ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საქმიანობაში ჩართული ძალებისა და მათი დაფინანსების წყაროების გამოსავლენად, ასევე, იმ პირთა დასადგენად, რომლებიც, შესაძლოა, თანამშრომლობდნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

აქტიურად მიმდინარეობდა უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სისტემებიდან ინფორმაციის გადინებისა და ხსენებულ ორგანიზაციებში დეზინფორმაციის მოხვედრისა და გავრცელების პრევენცია, ჯაშუშების შეღწევის შესაძლო არსებობის გამოვლენა და შესაბამისი კონტრლონისძიებების გატარება.

შეიარაღებული ძალების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის კუთხით, მიმდინარეობდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან შესაძლო კავშირში მყოფ პირთა მუდმივი მონიტორინგი, ასევე ცალკეულ პირთა მიერ დეტრუქციული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამოვლენა და აღკვეთა.

ამ მიმართულებით ოპერატიული ღონისძიებები ტარდება 99 პირის მიმართ.

გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კუთხით. დაიხვეწა საიდუმლოების დაცვის მექანიზმები.

2016 წლის განმავლობაში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოიძიება დაინკო სისხლის სამართლის 17 საქმეზე. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 21 პირი.

2016 წლის 20 აგვისტოს ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადებისათვის და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერე-



ბების მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა, ტარების ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა საქართველოს 7 მოქალაქე.

გამოიძიებთ დადგინდა, რომ დასახელებული პირები აშუადგენდნენ სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალი რუსეთ-სომხეთის გაზსადენის ღია მონაკვეთის დაზიანებას აფეთქებით.

შეიძვე პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით სხვადასხვა კვალიფიკაციით.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

საზგასამართლო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების დაცულობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხა, სულ 25 სუბიექტი.

2016 წლის განმავლობაში, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა სამსახურსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების შორის.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი სათანადო დახმარებასა და კონსულტაციებს უწევს შესაბამის ორგანიზაციას სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის მიმართ ტერორისტული რისკების შემცირება, სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისაგან დაცვა.

ამ მიმართულებით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების საქმიანობის, ასევე ქვეყნის ტერორიზმის სატრანზიტულ გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე











საერთაშორისო

ბრიტანეთში ვალდებულნი არჩევნები ჩატარდება



ინგლისის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ 8 ივნისს ვალდებულნი ვალდებულნი ვალდებულნი...

- ბრექსიტი დაინყო! ამ პროცესის ბოლომდე მისაყვანად ძლიერი, სტაბილური მთავრობა აუცილებელი! ამის მიღწევა კი მხოლოდ ვადამდელი არჩევნებით შეიძლება, - თქვა მეიმ.

მორიგი სისხლისღვრა სირიაში



სირიის პროვინცია ილიბზე კვლავ საპაერო დარტყმა განხორციელდა. დაღუპულია 35 ადამიანი. სირიელი პარტიზანები ამაში დიქტატორ ასადა და რუსეთს ადანაშაულებენ.

თურქეთში ოპოზიცია აქტიურდება



თურქეთის ოპოზიცია აცხადებს, რომ ერდოღანის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმს არ ცნობს. ოპოზიციის ლიდერები მონოდედის შემდეგ რიგ ქალაქებში, მათ შორის სტამბულში, საპროტესტო აქციები გამართა.

მოამზადა ნიკა თევზაქემ



ამერიკელმა დიპლომატებმა საი თვის „ზარკოსი“ დაითხა

ლონდონში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებმა დაკითხვაზე გამოიძახეს საი თვის ბავშვი. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა იტყობინება, ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ბავშვის პაპამ სავიზო ანკეტის შევსებისას დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას მისი ტერორიზმთან კავშირის თაობაზე.

ავსტრალიაში ზვიგენის თავდასხმას ბოგონა ემსხვერპლა



ავსტრალიის ქალაქ ესპერანსაში დაიღუპა 17 წლის ბოგონა, რომელიც მამასთან ერთად ზღვაზე სერფინგით დასერილობდა და რომელსაც თავს ზვიგენი დაესხა.

ფორმაციის თანახმად, ზვიგენი თავს დაესხა ბოგონას და ფეხი მოაგლიჯა. ექიმები პირველადი დახმარების აღმოჩენას გონისათვის უილის ყურეში მდებარე პლაჟზე შეეცადნენ, შემდეგ კი ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის გარდაიცვალა.

აშშ-ში ხვლიკი პოლიციის ოფიცარი გახდა



ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ ეივონდილის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელებმა სამსახურში აიყვანეს ხვლიკი. ამის თაობაზე ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსეს.

ნეკროსანმა აგამამ, სახელად აირომ, ფიცი დადო და პოლიციის სამკერდე ნიშანი მიიღო. რეპტილია არიზონას პოლიციის დეპარტამენტში 2016 წლის აპრილში მოხვდა, რათა მას ყნოსვით მიეგნო ზოგიერთი სახის ნარკოტიკისთვის.

ექსპერტების აზრით, ამ ხვლიკებს მახვილი ყნოსვა აქვთ და აკრძალული ნივთიერების აღმოჩენაში პოლიციელებს განვრთნილ ძალებზე უკეთ დაეხმარებიან.

ამერიკის პორნოინდუსტრია მუშაობა შეაჩერა



ამერიკის პორნოინდუსტრიის პროფესიონალებმა ასოციაციამ პროდუსერებს მას შემდეგ მოუწოდა შეეჩერებინათ გადაღებები, როდესაც მსახიობების გეგმური შემოსუბისას ერთ-ერთს შიდსის ვირუსი აღმოაჩნდა. ამ ინფორმაციას ორგანიზაცია საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ბამბა. გარდა ამისა, ის შეატყობინებს და გადაამოწმებს დაზარალებულს შესაძლო პარტნიორებს. თუ აღმოჩნდება, რომ შეცდომა იყო, გადაღებული განახლებდა.

იშვარი პირი ტოვდება

პოლიციის მსახიობის ჯონი დევის ყოფილი მეუღლე, მსახიობი ემბერ ჰერდი აპირებს, ცოლად გაჰყვას ამერიკელ-კანადელ ბიზნესმენ ილონ მასკას.

ბიზნესმენი ილონ მასკი დამფუძნებელია კომპანიის, რომელიც უშვებს რაკეტებსა და კოსმოსურ ხომალდებს და ასევე ტესლა მობილური (ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანია). ის ასევე სხვადასხვა კომპანიების თანამშრომელი და პროექტების ინიციატორია. მისი ქონება 10,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

30 წლის პერდის გეგმებზე მის 45 წლის ბოიფრენდთან მიმართებაში ისაუბრა მსახიობის მამამ დევიდმა.

ემბერ ჰერდი ცნობილი გახდა როლებით, რომლებიც მან შეასრულა ფილმებში: „რომის დღიური“, „არასოდეს დაწყებდე“, „ჩრდილოეთის ქვეყანა“, „ალფა დოგი“ და „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ზომბილენდში“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუბ მოგირჩენთ

კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს. გემურნალობა: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტის; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იუოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნაწინებს; 15. ნაწილებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვსსნი მეჭეჭებს; 17. განვეკურნავ ყიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

განსხვავებული

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სა-მუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02. რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90. სტრუქტურული მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კუთვება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98. ნანა ქიბრაძე-შვილი - ფირმა „აიდიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტრუქტურის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძაღლის ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყველა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიტებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, კავკასილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: ნერეთლის 57, II ს. II კართული. ოფისი 7. ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩანერით.. კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა - შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მონესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ლვიდის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის განმედა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით.









	აშშ დოლარი	— 2.3896		ევრო	— 2.5418
	ინგლისური სტერლინგი	— 2.9968		100 რუსული რუბლი	— 4.2223



### 11 აპრილიდან

## ბერძნული მითები

ფასი გაზაფხულთან ერთად 8 ლარი



### იუმორი

პატრული მანქანას აჩერებს, რომელშიც სიძე და სიდედრი სხედან.

პოლიციელი მიმართავს:  
— თქვენი საბუთები!  
— აი, ინებეთ.  
— მგონი, ნასვამი ხართ, აბა, ამოისუნთქეთ.  
მამაკაცმა ამოისუნთქა.  
— არა, ნასვამი არ ხართ.  
დაზღვევა გაქვთ?  
— დიახ, აი, ინებეთ.  
— ხანძრის საინჟინალომდეგო საშუალება გაქვთ?  
მამაკაცი აჩვენებს.  
— აფთიაქი?  
— აი, ნახეთ.  
ის-ისაა, პოლიციელმა მამაკაცი უნდა გაუშვას, რომ ამ დროს სიდედრმა თავი გამოყოფა ფანჯარაში და პოლიციელს ეუბნება:  
— რა, ჩაისვარე?  
— ჰოო, ეს მოვალეობის შესრულების დროს შეურაცხყოფის მიყენებაა.  
ამ დროს მამაკაცი საბუთს აწვდის:  
— აი, აიღეთ, მისი საბუთია ფსიქიატრიულიდან.

### მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## ლიგო სიეონა ჩეხიონთა ლიგის მოგზაობას გაგზავნის



მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი დიეგო სიეონე წელს ჩემპიონთა ლიგის მოგზაობას გეგმავს. ამის შესახებ მან ლესტერთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა. სიეონეს თქმით, მისი გუნდი შეეცდება, რომ წარსულის შეცდომები არ გაიმეოროს და ამჯერად გადაამწყვეტს შეხვედრები უფრო მეტი ყურადღებით ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ ატლეტიკო ბოლო ორი წლის მანძილზე ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ორჯერვე მადრიდის რეალთან წააგო. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფინალი წელსაც განმეორდეს, რადგან ორივე გუნდი უკვე ნახევარფინალშია. სიეონემ აღნიშნა, რომ ატლეტიკოს ნებისმიერი კლუბის დამარცხება შეუძლია.

## კარლოს ბაკა შესაძლოა მილანიდან წავიდეს

მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა ამ ზაფხულში შესაძლოა მილანიდან წავიდეს. მილანის ახალი მფლობელები ჰყავს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაკა მათ გემგნებში არ შედის და ისინი სხვა ფორვარდების ყიდვას აპირებენ. ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ ბაკას წასვლის შესახებ იტალიურ პრესაში ადრეც ინერტობდა.

იანვარში ბაკა ახლოს იყო იმასთან, რომ კარიერა ინგლისურ ვესტ ჰემში გავერძელებინა, მაგრამ მამინ გაკრვეული მიზეზების გამო ეს ტრანსფერი არ შედგა.

მილანში გადმოსვლამდე ბაკა დიდი ხნის მანძილზე სევილიას ლირსებს იცავდა.



## განუელ ნოიერისთვის სეზონი დასრულებულია



მიუნხენის ბაიერნის მეკარისთვის მანუელ ნოიერისთვის სეზონი დასრულებულია, რადგან რეალთან შეხვედრაში მან ტრავმა მიიღო, რომლის გამოც ის ორ თვეს გამოტოვებს.

ნოიერმა ტრავმა სავარაუდოდ იმ ეპიზოდში მიიღო, როდესაც რეალმა მესამე გოლი გაიტანა, თუმცა სხვა დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ნოიერმა შესაძლოა კონფედერაციის თასიც გამოტოვოს, რომელიც ივნისში გაიმართება, ასე რომ, გერმანიის ნაკრების მწვრთნელს იოჰაიმ ლიოვს ახალი გოლკიპერის მოძიება შეუძლება.

ნოიერის მაგივრად დარჩენილ შეხვედრებში ბაიერნის კარს სვენ ულრაიხი დაიცავს.

მოამზადა ბექს გოგინაშვილმა




### 19 აპრილიდან

ჯორჯ სანდი  
**ინდიანა**  
ოქროს ბიბლიოთეკა  
ტომი 26-ე

ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

### ლივერპული ჯო პარტს არ ეშვება



ლივერპულს ზაფხულში, სავარაუდოდ, ახალ მეკარეს შეიძენს, რადგან იურგენ კლოპი თავისი გოლკიპერების თამაშით უკმაყოფილოა.

ლივერპულის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ტორინოს ინგლისელი მეკარე ჯო პარტია. პარტზე უფლებები მანჩესტერ სიტის ეკუთვნის, თუმცა, როგორც პარტმა თვითონ განაცხადა, ის ამ კლუბში მანამდე არ დაბრუნდება, სანამ იქ ხოსეპ გვარდიოლა იმუშავეს. ლივერპულზე პარტს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა თუ ლივერპული ჩემპიონთა ლიგაში გავიდა, პარტი მას, სავარაუდოდ, უარს არ ეტყვის.

ლივერპული მზად არის, ჯო პარტის ტრანსფერში 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

## ჯაიმი ვარდის ჩეხიონთა ლიგაში კიდევ უნდა თამაში



ლესტერის მთავარმა ბომბარდირმა ჯაიმი ვარდმა ატლეტიკოსთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის უარს არ იტყობდა, კიდევ ეთამაშა ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა, მისი აზრით, ლესტერისთვის ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება:

— ატლეტიკოსთან უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ისინი თავს კარგად იცავდნენ და ამიტომ გამარჯვების მოპოვება ვერ შევძელით. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან მომეწონა და ვისურვებდი, რომ ეს მომავალშიც მოხდეს, თუმცა კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება რთული იქნება.

მოამზადა ბექს გოგინაშვილმა

## კრისკოხი ა

**შეუღალა:** 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად იმართება საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. ქალაქი თბილისის მერი; 4. მითანეთი ევროპაში; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 8. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ცხენშებელი ტრამვაი ძველ თბილისში; 17. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. მდინარე ოზურგეთში.

**თარაზულა:** 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სატანვარჯიშო იარაღი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 13. სიარული, სეირნობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; 14. საავიაციო საპაერო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 15. ნავსადგური საქართველოში; 19. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური ნიწვოვანი ხე; 20. ფრანგული მსუბუქი ავტომობილი; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

